საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება №27

ბათუმი „10" აგვისტო 2026 წ.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ" უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2023 წლის 26 იანვრის N3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 36-ე და 63-ე მუხლების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის N54-IIს დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები"-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს აპარატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის ფერიდე უსტიაშვილის 2026 წლის 05 აგვისტოს N1538 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2023 წლის 26 იანვრის N3 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მასმედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მარიამ სალუქვაძე".

2. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს მარიამ სალუქვაძეს. ბრძანება განთავსდეს უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

3. ამ ბრძანების კანონით დადგენილი წესით სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ, ხოლო უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ცოტნე ანანიძე